განკარგულება:**გ-23.23213491**
თარიღი:**15/12/2021**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილების შესაბამისად:

მუხლი 1.
დამტკიცდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესი დანართი N1-ის მიხედვით.
მუხლი 2.
კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს.
მუხლი 3.
2022 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის Nგ-23.23210561 განკარგულება.
მუხლი 4.
განკარგულება ძალაში შევიდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.
მუხლი 5.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 დეკემბრის N22-2221344151 მომართვა.

ვახტანგ ღამბაშიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი